ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3318185

ნომერი: AR1499475

თარიღი : 02.05.2017

გაცემის თარიღი : 12.06.2017

გაცნობის თარიღი : 16.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი ქინძმარაულის II , N 8 ; ქალაქი თბილისი , ქინძმარაულის ქუჩის II შესახვევი N8ბ; ქალაქი თბილისი , შესახვევი ქინძმარაულის II , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ გეთიაშვილი პ/ნ 01011003790
- აწყურის ქუჩა 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

თქვენი AR1499475 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ შემდეგს:
დოკუმენტაციის განხილვის შედეგად ირკვევა, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით დადგენილი არეალის საზღვრებში აღარ შედის N01.19.34.004.075 საკადასტრო ერთეული, რომელიც ამჟამად სს „თელასის“ საკუთრებაშია.
იქიდან გამომდინარე, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასთან/ ქალაქთმშენებლობით პირობებთან, მოთხოვნა უნდა დააყენოთ გრგ გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ან ისარგებლოთ „რუკის ცვლილების უფლების“ ღილაკით და რუკაზე მიამატოთ ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულიც (N01.19.34.004.075), რომელიც თავდაპირველად შედიოდა შეთანხმებულ (N 01/1818, 19.12.2008წ.) და ასევე, კორექტირებულ გრგ (ბრძანება N1266424, 23.05.2014წ.) საზღვრების არეალში.
იმ შემთხვევაში, თუ აპირებთ ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანას, საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და განაცხადი ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებგვერდზე: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში, კერძოდ: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“, შემდეგ „განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება“.
ამასთან, დამატებითი ინფორმაციის სახით, გაცნობებთ, რომ სამსახურმა განაახლა წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიმართ მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.
აქედან გამომდინარე, წარმოსადგენია გრგ–ს კორექტირებული პროექტის სრული შემადგენლობა და არა მხოლოდ ის ნაწილი, რაც კორექტირებითაა გათვალისწინებული. აგრეთვე, გრგ კორექტირებული პროექტის ალბომში ნათლად ასახეთ გრგ საპროექტო არეალში განხორციელებული ეტაპები (მშენებლობები) და <u>სხვაობა</u> შეთანხმებულ გრგ-სა და ამჟამად მოთხოვნილ გრგ კორექტირებას შორის. გრგ პროექტის კორექტირებისას ცალკე ფრაგმენტებად (წარმოდგენილი ფრაგმენტები ემსახურება კორექტირების შედეგად დაგეგმილი ცვლილებების ილუსტრაციას) უნდა იქნეს წარმოდგენილი არსებული და კორექტირებული უფლებრივი ზონირების გეგმების ის ნაწილ(ებ)ი, რომელსაც ეხება ცვლილება. აგრეთვე, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილ განაშენიანების სამგანზომილებიან (3D) მაკეტზე მიუთითეთ განსხვავება შეთანხმებულ გრგ-სა და კორექტირებულ გრგ პროექტს შორის;
გარდა ამისა, დანართის სახით გიგზავნით გრგ ალბომის შემადგენლობასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. იისფრად მონიშნული ნაწილი არის გრგ კონცეფციის ამსახველი და „საბჭოს“ საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს განცხადებას გრგ „საბჭოზე“ განსახილველად გასატანად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან;
თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია;
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება;
თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ; განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოსადგენად გეძლევათ 30 დღე.
გაითვალისწინეთ, რომ დადგენილ ვადაში დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.